სახალხო გაზეთი

№ 1113 სამშაბათი, 11 თებერვალი 1914 წ. № 1113

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ, დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერ.!

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1914 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

(კვირაობით).

პრემიად 1914 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ სამი წიგნი

პირველი წიგნი: „ქართველი მწერლები", რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: 1) „უგვირგვინო მეფენი", ისტორ. დრამა 5-მოქ. სანდ. შანშიაშვილისა. 2) „მიმქრალი შარავანდედი", ისტორ. რომანი ვ. ბარნოვისა და სხვ.

მეორე წიგნი: „უცხოეთის მწერლები", რომელშიაც დაიბეჭდება: „დონ-კარლოსი", ტრაგედია შილლერისა, თარგმანი გერმანულით **სანდრო შანშიაშვილისა** და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის მწერლებისა.

მესამე წიგნი: „სამეცნიერო კრებული", ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8. 50	8.	7. 50	6. 75	6	5. 25	4. 50	3. 75	3	2. 25	1. 50	75.

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოცვლის ფასი ტფილისსა ტფილისის გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოა.

სამი აბაზი უნდა გადაიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც ჰსურს მიიღოს ფოსტით სამი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კაპ. შეუძლიათ გადაიხადონ ნაწილობით

მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1914 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება: 1) „სახალხო გაზეთის" კანტორაში, სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან.

2) ქ. შ. წ.-კ. გამავრ. ს. გამგეობის წიგნის მაღაზიაში.

ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.

კვირას, 16 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, **„ახალი კლუბის"** შენობაში დანიშნულია კლუბის წევრთა

საზოგადო კრება.

განსახილველია: 1) 1913 წ. მოქმედების ანგარიში მამასახლისთა საბჭოსი. 2) 1914 წ. ხარჯთ-აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა. 3) მიმდინარე საქმეებისა. 4) კლუბის წევრებისა და მუდმივ მოსიარულეთა არჩევნები. 5) მამასახლისთა, მათ კანდიდატებისა, სარევიზიო კომისიის წევრებისა და მათი კანდიდატების არჩევნები. 1052

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:

ჩვენი კაზმული მწერლობა.

ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი	1 მ. კ.
„ ახუნდი, პოემა,	5 „
„ ბახტრიონი, .	20 „
„ ამოდის ნათდება,	15 „
„ სამი საყმაწვ. ამბავი,	15 „
კარიჭაშვ. სამი მსხვერპლ., მოთხ.	30 „
კლდიაშვილი. საყმაწ. მოთხრ.	30 „
„ თხზულებანი I.	75 „
„ „ II.	75 „
მზის სიცილი, აბაშელი.	50 „
მგალობლიშვ. თ-დი იორენიძე,	10 „
„ მთიული სოსე,	10 „
ლომოური. ყოვლის მხრიდან,	10 „
„ ბერუა ქრისტესიაშვ.,	10 „
„ ალი, . .	10 „
„ ქაჯანა, . .	7 „
ნინოშვილი. მოსე მწერალი,	10 ,
„ არშიყნი, .	5 ,
„ სიმონა, .	20 ,
„ პოლიასტომის ტბა,	5 ,
„ განკარგულება,	5 ,
„ გოგია უიშვილი,	5 ,
ორბელიანი გრ. ლექსები,	20 ,
ორბელიანი ვახტ. ლექსები,	60 ,
ორბელიანი ნინო. „	30 ,
ახლად გამოსული წიგნები:	
ა. ფრონელი. მთის არწ. შამილი,	25 ,
გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა. კელენჯერიძე, .	1 მ.
Долина Свѣти Груз. преданіе,	1 მ.
აჭარის მთავარი ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილი, . .	10 ,
საქ. ცხოვრ. ზ. ჭიჭინაძისა,	1 მ.

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. гр. нас.

საზღვარ-გარეთის კიმონო

რ. ა. პორტუგალოვისა

იუწყება, რომ კუკიის (ნიკოლოზის) ხიდზე (№ 23—24) არსებულმა

საქარხნო მაღაზიამ

მიიღო დიდ-ძალი **შეკერილი ტანისამოსი** მამაკაცების, ქალებისა და ბავშვებისათვის. მიღებულია აგრეთვე მამაკაცთა კოსტიუმები, ქალებისათვის ქვედატანი და ხალათები ცალ-ცალკე.

ახლად მიღებულია. ძალიან იაფად, საქარხნო ფასებზე 30 პროცენტის დაკლებით, იყიდება სეზონიდან დარჩენილი საქონელი. იმედი გვაქვს, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დაგვრჩებიან. აქვე მიიღება ყოველგვარი შეკვეთა.

1632

პატივისცემით რ. ა. პორტუგალოვისა.

კიმონო

გორის პირველი კერძო

სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსა და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუკნერი მ. გ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

მინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა **წამლობა „606", „914".** 1604

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 12 თებერვალს, ნაშუადღევის 12 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ახალ სასალახოზე ბუფეტისთვის

საგანგებოდ გამართულ შენობის იჯარით გასაცემად. კონდიციების ნახვა შეიძლება ქალაქის გამგეობის მე-3-ე განყოფილებაში ან ახალისა და ძველი სასალახოს კანტორებში. 1048.

დღეიდან

ვაგზლის სამკურნალოში

(აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.

პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.

ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.

ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.

სამხედრო ექ. კლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 1—2 ს.

ვაშაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

რჩევის საფასური—50 კაპ.

წამლობა „914".

1023

ტფილისის კერძო სამკურნალო

[illegible] ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებ.	**მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი ბ. ბ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფედოროვი ი. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკოვიჩი მ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულებ.	**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი მ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ვენერიულ. სნეულებ. და ელექტ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოვი მ. ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი მ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1466

ახალი კლუბი

სამშაბათს, 11 თებერვალს, 1914 წ.

საოჯახო საღამო

გასტროლი გამოჩენილი ამერიკელი იმიტატორის, სხვადასხვა საკრავებისა და პირუტყვების ხმებისა **ბ. ბალდური.**

სინემატოგრაფი ივანიცკისა. თეატრში შესვლა უფასოა. სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელს კაცები 1 მ., ქალები 50 კ., სტუდენტები 25 კ.

ანონსი: შაბათს, 15 თებერვალს **მასკარადი** და ნიშნულია ექვსი ჯილდო საუკეთესო ტანისამოსისთვის და ცეკვისთვის. 1052

გადამდებ სენთან საბრძოლველად

ქალაქის გამგეობას საჭიროდ მიაჩნია

სთხოვოს მცხოვრებთ, კერძო ეტლებით ნუ წაიყვანენ ავადმყოფების (**სახადიანს, ქუნთრუშიანს, ხუნაგიანს, წითელიანს და სხვა**) საავადმყოფოებში, ან სახლიდან სახლში, არამედ ყოველ ამისთანა შემთხვევაში

ისარგებლონ (უფასოდ)

ქალაქის სადეზინფექციო კამერასთან მყოფი

საგანგებო კარეტით

კარეტის დაბარება შეიძლება ტელეფონით № 172. 1055

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791.

1468

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

აბელედიანი. შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

ბელანჟე. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

ბოჟოვსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

ერმოლაევი—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

გორობინოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

გნუჩკოვი—ქირურგ. ავადმყ, ყოველ-დღე 11—12 ს.

შამაში, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

ასპიხოვი—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.

რუდენკო. შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

ჩუდნოვსკი—ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—2 ს.

მხიტარიანი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ნოვიცკი. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

კალამქაროვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ექ. ქალ. იოსელიანი. ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ. და კვ., 4—5 ს.

ბაგდოევი—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

სათვალეების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძების მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wassermann"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმთა საზოგადოების

სამკურნალო

მუდმივ საწოლებით.

(მიხეილის შესახვევი № 49 და რეუტოვის ქუჩის შესახვევი № 2.

ტელეფ. № 1026.

ავადმყოფების მიღება:

აბაჯანოვი მიხეილ — საშარდე, სიფილის. და კანის სნეულ. 11—12 ს.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგ., ნერვ. და სულის სნეულ., ელექტროტერაპია, 11—12 ს.-დე.

ელჩიევი მ. რ.—ყურ., ცხვირ. და ყელისა, 12—1 ს.

ელჩიევი ლ. რ.—ქალის სნეულ. და ბებიობია. 12—1 ს.

კიმონტი მ. პ.—სადოსტაქრო სნეულებანი 11—12 ს.

მაზაკიანი მ. ნ.—შინაგანი და ბავშვებ., სნეულ., სპეციალურად კუჭისა და ნაწლავ., 1-ნახ.—12-ნახევარ ს.

სამკურნალოში ჰწამლობენ ელექტრონით, მასაჟი, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა, ძიძების გასინჯვა. რჩევის ფასი 1 მან., ოპერაცია, კონსულტაცია, მორიგებით. სტაციონალური (საავადმყოფო) განყოფილება საერთო პალატისაგან შესდგება.

შეშხაპუნება „914", „606". 1040

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის

სამკურნალო

ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მორიგებით.

ადრესი: **Баку, магазинная, № 50.**

1608

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი

ბ. გ. მეგრაბიანცი

იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ბლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ბლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელვისებურ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 საათამდე. კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. **ღარიბების** წამლობა დილ. 9—10 ს.-დე **უფასოდ.** ბებუთოვის ქ. 23. ტელეფ. 7—92. 1516

ექიმი ბ. ნ. მაზაკიანი გადავიდა ახალ ბინაზე, სოლოლაკში, ბებუთოვის ქ. № 38.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, სპეციალურად კუჭისა და ნაწლავების ავადმყოფობანი. **ელექტროტერაპია** იღებს დილის 10—11 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388.

1053

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.: ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლის. მიიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი პავლე არდაზიანი შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დილის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

ექიმი გ. მუსხელიშვილი მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი ი. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ. ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ქლექ. და დამბალი ციება. პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. იღებს დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1041

ქ. გ ო რ შ ი
(დ ო ქ ტ ო რ ა ნ ტ ი).
ექიმი გ. დ. წინამძღვრიშვილი ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდ. 1571

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე,** გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმი შ. ა. მიქელაძე 15 იენისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი ს. ს. ჯავახიშვილი ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.
იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 737.

ტფილისი 11 თებერვალი

მოწინააღმდეგეებს. ჯერ თხუთმეტი წელიწადი არ შესრულებულა მას შემდეგ, რაც ჩვენი საერო ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა განსაზღვრული მიმართულების ჯგუფი, ჯგუფი ახალი, როგორც თავის პოლიტიკურის-ეროვნულის, ისე სოციალურ-ეკონომიურის მისწრაფებით. ჯგუფმა ხელში აიღო დროშა, რომელიც არსებითად განსხვავდებოდა მამინდელი სხვა ჯგუფისაგან. იგი განშორდა სრულიად ძველს ნაციონალისტებს, რომელთა პროგრამა ძალზე გაუბედავი და გაურკვეველი იყო, და თანაც მეტად არა-ხალხური, დამკვიდრებული ძველს წეს-წყობილებაზე და არ შეთანხმებული ერის უმრავლესობის საჭიროებასთან. მეორეს მხრით ახალმა ჯგუფმა დაჰგმო ის ცალმხრივი სოციალურ-ეკონომიური მიმართულება, რომელიც ცნობილი იყო მესამე ჯგუფის სახელით და რომელიც, როგორც უცვლელად გადმოტანილი უცხოეთიდან, არ ეგუებოდა ქართველი ხალხის რეალურს მოთხოვნილებას.

ახალი ჯგუფი პირდაპირი ნაყოფი იყო ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისა მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს და მეოცეს დასაწყისში. იგი შვილია ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურის და სოციალურის ძალების ზრდისა და მომწიფებისა. იგი წარმოიშვა სტიქიურის აუცილებლობით—ამას მოითხოვდა ხალხის განვითარებული ეროვნული თვითშემეცნება და ხალხის მიერ თავის ქონებრივი მდგომარეობის შეგნება და გათვალისწინება. ერი გაიზარდა პოლიტიკურად, ერი მომწიფდა სოციალურად, მას არ აკმაყოფილებდა ბუნდოვანი, ორჭოფული, არა დემოკრატიული პროგრამა, მას არ ეთვისებოდა განყენებული, სიცოცხლეს მოკლებული, მშრომელი ხალხის უმრავლესობას—გლეხობას დაშორებული მოძღვრება—და აი ამ ორმა დიადმა ძალამ წარმოშვა ახალი ჯგუფი გარკვეულის, გაბედულის ეროვნულის პროგრამით და უფრო ხალხურის, ცხოველის სოციალ-ეკონომიურის მიმართულებით.

ახალი სოციალურ-პოლიტიკური ჯგუფი არ ყოფილა შემთხვევითი მოვლენა, მის დაარსებას ღრმა ეროვნული და ეკონომიური მიზეზები ჰქონდა. იგი არ ყოფილა მოუსაზრებლად გარედან გადმოღებული მოძღვრება, არც რამდენისამე ინტელიგენტის გონების მიერ შემუშავებული, არამედ—ვიმეორებთ—ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების აუცილებელი და პირდაპირი შედეგი. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მიუხედავად გამწარებული იერიშებისა, რომელიც მიიტანეს ახალ მიმართულებაზე როგორც ძველმა ნაციონალისტებმა ისე დასულებმა, მიუხედავად ცხარე ბრძოლისა, რომელიც შეხვდა წილად მიმართულებას და რომელიც სრულს განადგურებას უქადდა, — ახალმა ჯგუფმა თავი დააღწია ყოველგვარს განსაცდელს და გამარჯვებული გამოვიდა, და თუ წინად მოსულს მტრებს იგერიებდა, ეხლა თვით მიდის იერიშით სხვებზე, მიდის გამარჯვებით და რაც უნდა დაბრმავებული იყოს გაფანატიკოსებული მოწინააღმდეგე, ვერ უარჰყოფს იმას, რომ აქ ახალი ეროვნულ-სოციალური მიმართულების მუშაობა ფრიად ნაყოფიერი იყო და მას საპატიო ადგილი აქვს მოპოვებული ჩვენი ერის ცხოვრებაში.

ასეთია საქმის ვითარება არსებითად. მაგრამ ამასთანავე უნდა აღვიაროთ, რომ ბოლო დროს მოწინააღმდეგეთა ბანაკებში რაღაც მეტად ღვარძლიანი და შურით აღსავსე აურზაური და განგაში ასტყდა: ისეთივე სიბრაზით, სიმწარით და დაჟინებით ეპოტინებიან ჩვენს დროშას, როგორც ოდესღაც, და ლამობენ მისი ჩამოგლეჯას და ფეხით გათელვას. არ ერიდებიან ცილისწამებას, მაბეზღრობას და პროვოკატორობას, რომ დაამცირონ ჩვენი მოძღვრება, ტალახში ამოსვარონ და საძაგებელი გახადონ ყველასათვის. ასეთი იყო მათი განზრახვა მაშინაც, როცა „სიტყვის თავისუფლების“ ვითომდა მქადაგებელნი ჯოხებს გვჩრიდენ პირში და ხმის ამოღების ნებას არ გვაძლევდნენ.

ჩვენ გავუძლეთ ამ საშინელს უსამართლობას. იმედი გვაქვს, გავუძლებთ დღევანდელს მეომრებსაც. გავუძლებთ იმ მონაციონალისტე თავადებსაც, რომელნიც მეორეს მხრით გვიპირებენ წაქცევას და რომელთაც სომხების მთავრობასთან დაბეზღებით და ოსის გლეხების აყრით უნდათ გამოიჩინონ თავისი მამულიშვილობა. გავუძლებთ, ვინაიდგან წმინდაა და მტკიცე ის დროშა, რომელიც ჩვენ ხელში ავიღეთ და რომელიც მხოლოდ ერთი გაუძღვება ქართველს ხალხს აღორძინებისა და განახლებისაკენ.

ჩვენ არ გვაშინებს ის, რომ ჩვენს მუშაობას ჯერ ბევრი რამ აკლია, რომ შეიძლება ყოველი ჩვენი ნაბიჯი არ იყოს სწორი და მიზან შეთანხმებული, რომ ყოველი ჩვენ მიერ გასროლილი ისარი არ მისწვდეს მტრის გულს, არ გვაშინებს იმიტომ, რომ უცოდველი და შეუცდომელი მარტო ისაა, ვინც არას აკეთებს. ჩვენ გვაქვს იმდენი მოქალაქობრივი გამბედაობა, რომ გარკვევით და ახდილად აღვიაროთ, თუ რამ შეცდომა მოგვივა, არას დავმალავთ და მოურიდებლად დავსჯით დანაშავეს, თუ ასეთი აღმოჩნდება, მაგრამ სულმოკლენი არა ვართ და შეგვწევს ძალა, თვით მოვუაროთ ჩვენს იარას, თვით განვკურნოთ ჩვენი სხეული მისგან.

ერთგულად ვიცავთ ერთხელვე აღებულს საღს დემოკრატიულს ეროვნულ-სოციალურს დროშას და დეე, ნუ იხარებენ თავის მოტყვილებით მტრები და მტერ-მოყვრები, რომ ვითომც შეგვარყიონ და ხელი შეახონ ჩვენს წმინდათა-წმინდას!

ქართული პრესა

„თემის“ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია წერილი ამერ-იმერეთის სამღვდელოების კრებების შესახებ. წერილის ავტორი ყველაზე უწინარეს აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ქართლ-კახეთის სამღვდელოებამ მთელი ათი დღე მხოლოდ უმნიშვნელო, წვრილმან საქმეებს მოანდომა და ერთის სიტყვითაც არ შეეხო საქართველოს ეკლესიის დღევანდელს განსაცდელს. შემდეგ ავტორი სწერს:

„საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის საკითხმა დასავლეთ საქართველოს სამღვდელოებაში იპოვა გაცილებით უფრო მტკიცე ნიადაგი, ვიდრე იმერეთის სამღვდელოების შორის. იმერეთის სამღვდელოება ყოველ შესაფერ დროსაც არ უშვებს, რომ ეს საკითხი არ აღძრას ხოლმე. გარდაცვალებულ ეგზარხოსის ინოკენტის დანიშვნის შემდეგ პირველად იმერეთის სამღვდელოებას ჰქონდა კრება თებერვალში 1910 წ. ამ კრებაზე შეიმუშავეს ტექსტი იმ დეპეშისა, რომელიც ეგზარხოსს გაეგზავნა. ამ დეპეშაში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აუცილებლობა იყო აღიარებული. ამ დეპეშის პასუხად ზემოხსენებულმა სამღვდელოების კრებამ დიდი გაკიცხვა და საყვედური მიიღო დახმარებისა და თანაგრძნობის მაგიერ. ამ დეპეშამ ისე დააფრთხო სამღვდელოება, რომ მას აქეთ ავტოკეფალიის შესახებ კრინტიც კი არ დაუძრავს.

დღეს, როდესაც ეგზარხოსი გამოიცვალა, იმერეთის სამღვდელოებამ კვლავ გაიხსენა ავტოკეფალიის საკითხი და ახალ ეგზარხოსის სახელზე დეპეშა შეადგინეს, რათა მას ხელი შეეწყო ქართული ეკლესიის სრულიად სამართლიან მოთხოვნილების კანონიერ დაკმაყოფილებისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა. იმერეთის ეპისკოპოსმა ნება არ დართო ასეთ დეპეშის გაგზავნისა. ეს მით უფრო საწყენია, რომ დღესაა თუ ხვალ ქართულ ეკლესიის ბედი სამუდამოდ უნდა გადაწყდეს და ასეთ დროს გაჩუმება არ ეპატიება ქართველ სამღვდელოებას და მით უმეტეს მის მეთაურებს.

მარტო სხვის ამარა დარჩენა და სხვაზე ბედის მინდობა ვერ გამოიყვანს ქართულ ეკლესიას იმ სავალალო მდგომარეობიდან, რომელშიაც იგი დღეს იმყოფება, თუ სამღვდელოებამ თვითონ არ გაანძრია ხელი. ჩვენ ვერ დავამყარებთ იმედებს იმ გარემოებაზე, რომ მსოფლიო პატრიარქი და ზოგი სხვაც არ თანაუგრძნობენ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმებას და ამიტომ თავის სანქციასაც არ მისცემენ სინოდსაო, როგორც ეს ზოგიერთ სამღვდელო პირს ჰგონია. უამისოდაც, როგორც აქამდის, შემდეგაც იოლად წავლენ სინოდის ბიუროკრატნი და საქმე არსებითად არ შეიცვლება.

აი ამ მწვავე კითხვას უნდა შეჰხებოდა ჩვენი სამღვდელოება და შესაფერი მომენტით ესარგებლნა.

ეს მათი კრება შეიძლება უკანასკნელიც გახდეს. ვიდრე ერთი წლის შემდეგ მეორედ შეიკრიბებიან, შესაძლებელია მაშინ უკვე გადაწყვეტილი იყოს ბედი ივერიის ეკლესიისა“...

ქართველებმა საზოგადოდ ასე ვიცით ყველაფერში, როდესაც საქმე მოითხოვს დაუყოვნებლივ ხმის ამოღებას, გაჩუმებულნი ვართ და მხოლოდ შემდეგ დავიწყებთ წუწუნსა და უაზროდ ცრემლების ღვრას.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან, რომ მთავრობამ აუკრძალა უკრაინელებს მათის დიდებულის პოეტის და მამულიშვილის შევჩენკოს დაბადების ასი წლის თავის დღესასწაული. საზოგადოდ უკრაინელები დიდს დევნასა და შევიწროვებას განიცდიან რუსეთის მემარჯვენეებისა და მთავრობისაგან. თამამად შეიძლება ვსთქვათ, რომ არც ერთი რუსის ერი არაა ისე შებორკილი და სულ-შეხუთული რუსეთში, როგორც უკრაინელთა ერია.

გაზეთი **„რუს. ვედ.“** ჰგრძნობს მთავრობის და რუს ნაციონალისტების საქციელს და ამბობს:

„უკრაინული ენის და მწერლობის დევნას დღეს დიდი, განსაკუთრებითი მნიშვნელობა აქვს, საერთაშორისო, პოლიტიკური. არ შეიძლება იმის არ დანახვა, რომ უკრაინის საკითხმა ბოლო დროს საერთაშორისო საკითხის ხასიათი მიიღო. აღარავისთვის არაა საეჭვო, რომ ავსტრიამ დღევანდელი პოლიტიკურის მდგომარეობის მიხედვით საჭიროდ აღიარა, რომ უკრაინელების მდგომარეობა გალიციასა და ბუკოვინაში უკეთესი იყოს, ვიდრე რუსეთში. ყველამ კარგად იცის, რომ ამ მხრივ ავსტრიელებმა ბევრი რამ გააკეთეს უკანასკნელ წლებში; თავისი მიზნის განსახორციელებლად ავსტრიის მთავრობა არ მოერიდა ერთგულ გალიციელ პოლონელების უკმაყოფილებასაც. თავის თავად იბადება კითხვა, რამდენად სასურველია, რომ რუსეთის მთავრობამ ხელი შეუწყოს ავსტრიის პოლიტიკას. ამ რამდენიმე დღის წინად სახელმწიფო საბჭოში ბარონი როზენი ლაპარაკობდა იმ დაბრმავებულ ნაციონალიზმის შესახებ, რომელიც რუსეთის მტრების სასარგებლოდ მოღვაწეობს. აი სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა დავაფასოთ კიეველ შავრაზმელების და ნაციონალისტების გამარჯვება, რომელთაც მთავრობას აკრძალვინეს შევჩენკოს დღესასწაულის გამართვა“.

შეუძლებელია არ [illegible] პატივცემულ გაზეთს, რომ რუსეთის უსაშინელესი მტრები დღეს შავრაზმელ-ნაციონალისტები და მათი ამყოლი მთავრობაა.

სახელმწიფო საბჭო

(დეპ. პეტერ. სააგ.)

8 თებერვლის სხდომა.

გოლუბევი თავმჯდომარეობს.

ლოთობასთან საბრძოლველ კანონ-პროექტის მუხლობრივი განხილვა გრძელდება. კომისიის რედაქციით მიიღეს კანონ-პროექტის მეორე განყოფილების მუხლები. საბჭომ განიხილა და მიიღო მესამე და მეოთხე განყოფილების მუხლები, რომლითაც იკრძალება საზოგადო ადგილებში და დაწესებულებებში მთვრალის მისვლა და უკანონო სყიდვა მაგარ სასმელებისა ქონების დაგირავებით და მამულის გაყიდვით. აკრძალულია აგრეთვე მაგარ სასმელების შეძენა სულადზე გაცვლით.

კამათში მონაწილეობას იღებდნენ **ტაგანცევი**, რომელმაც რამდენიმე შესწორება შეიტანა, **კონი** და **ზინოვიევი მესამე**; უკანასკნელნი კომისიის რედაქციას იცავდნენ.

მე-127 მუხლი მარკოვის შესწორებით მიიღეს. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია მე-51 მუხლის მე-14 და მე-15 ნაწილის განხილვამ. ამ მუხლით ისჯება მაგარ სასმელებით უპატენტო ვაჭრობა.

კონი კომისიის სახელით განმარტავს: ამ მუხლებით სათათბირომ ერთსა და იმავე დანაშაულობაზე ორნაირი სასჯელი დააწესა—ფულით დაჯარიმება და ციხეში დაპატიმრება. სასჯელთა დებულებაში ვერ ნახავთ სასჯელის ამგვარ შეერთებას. საბჭომ 19 წევრის შესწორება, რომლითაც სათათბიროს რედაქციის აღდგენა ჰსურთ, ყოვლად შეუძლებელია. შეგვიძლიან სასჯელი გავაძლიეროთ, მაგრამ ორნაირ სასჯელის შემოღება კი სრულიად უკარგავს აზრს სასჯელთა დებულებას.

მაკაროვი კონს უპასუხებს და უმტკიცებს, რომ რუსეთის კანონმდებლობაში არის მაგალითები სასჯელთა შეერთებისა: ჯარიმისა და დაპატიმრებისა. მოლაპარაკე მხარს უჭერს სათათბიროს რედაქციას.

მოსოლოვი იცავს 19 წევრის შესწორებას და სათათბიროს რედაქციის მიღებას მოითხოვს. საჭიროა მკაცრი ზომების მიღება უპატენტო ვაჭრობის ასალაგმავად, რომელმაც სოფლად ძალიან გაიდგა ფესვი.

გურკოც 19 წევრის შესწორების მომხრეა.

ტაგანცევი კომისიის რედაქციას იცავს.

უნტერბერგერი. ამ კანონ-პროექტის მიღებას სახაზინო სავაჭროთა რიცხვის შემცირება მოჰყვება; ეს კი

გლეხთა განთავისუფლება

საქართველოში. *)

2.

მაგრამ თავი და თავი ეგ როდია. მეტად საინტერესო პრაქტიკული მოღვაწეობაა, რასაც ახლა განვიხილავთ. პირველად, 1861 წლის 19 თებერვლის საერთო დებულების ჩვენი ქვეყნის შესახებ გამოყენება სიძნელეს წარმოადგენდა, რადგანაც ჩვენი ქვეყანა განსხვავდებოდა რუსეთისაგან. ამ ხასიათის მოხსენება მეფის მოადგილემ თ-დ ბარიათინსკიმ კავკასიის კომიტეტის საშუალებით სტატს-სეკრეტარს ბუტკოვს სათანადო მოხსენებაც წარუდგინა 1861 წლის 31 მარტის თარიღით (№ 5), რომ ადგილობრივ პირობების წინასწარ შეუსწავლელად საჭირო ზომები ყოფილიყო მიღებული. მართლაც, 1861 წლის 1 მაისის დადგენილებით, ბატონყმურ ანგარიშების გამორკვევა მიანდვეს სათავად-აზნაურო სამაზრო კომიტეტებს, რომელთაც საშუალება ეძლეოდათ — როგორც ზისერმანის „კრებული“ გვიხსნის — რეფორმის განხორციელების საქმე ისე გაეშუქებინათ და ისეთ კალაპოტში ჩაეყენებინათ, როგორც თვით თავად-აზნაურობის ინტერესს შეეფერებოდა 3). ექვსი თვის განმავლობაში ამ სამაზრო კრებებს თავიანთი ანგარიშ-მოსაზრებანიც უნდა წარმოედგინათ კავკასიის კომიტეტისათვის, მაგრამ თავად-აზნაურობა სრულიადაც არ ჩქარობდა, მხოლოდ-ღა გორის მაზრის თავად-აზნაურობამ წარადგინა თავის დროზე სათანადო მოსაზრებანი და ამიტომ მთავრობა იძულებული შეიქნა ისევ გუბერნიის სათავად-აზნაურო კრებისათვის მიემართა, რომელიც სწარმოებდა 1861 წლის აპრილის დამლევს. ამ ყრილობაზედაც საბოლოოდ ვერა გამოირკვა-რა, ხოლო საკითხის გამორკვევა-შემუშავება კრებამ მიანდო თ.-აზნაურობის წინამძღოლობის აღმასრულებელს დიმიტრი ყიფიანს, რომლის შედგენილი პროექტი ტფილისის სამოქალაქო უწყების გუბერნატორმა მეფის მოადგილის მთავარ სამმართველოში წარადგინა 6 ივლისს, № 755-ით. ხსენებულ პროექტზე 539 თავად-აზნაურს ეწერა ხელი, რომლის გარდა წარმოდგენილ იქმნა თავად-აზნაურთა მცირე ჯგუფის (14 კაცის) პროექტი და განსაკუთრებული აზრი ბაგრატიონ-მუხრანსკისა. ამნაირად, საკითხის დამუშავება ფრიად ცალმხრივად სწარმოებდა, მასში მონაწილეობას არ ღებულობდა არც პრესა, არც კულტურული საზოგადოებანი და ქალაქები და სოფლები. გლეხ-კაცობას თვით მუშაობის მდგომარეობისაც არას ეუბნებოდნენ, თუმცა მათდამი მაინც აღწევდა ის ყრუ ხმები, რომელსაც ყალბად ავრცელებდნენ თვით საქმეში მონაწილე თ.-აზნაურნი. ჩვენ არ შეგვიძლიან გავარჩიოთ და დავახასიათოთ აქ შინაარსი თავად-აზნაურობისა და მთავრობის—კომიტეტის მიერ წარმოდგენილ პროექტებისა. ეგ არ ეხება და არც საჭიროა ჩვენი მიზნისათვის. მხოლოდ აღვნუსხავთ, რომ თ.-აზნაურობა მეტის-მეტად უტიფრად ადგა თავის წოდებრივსა და კლასობრივ პოლიტიკას და ცდილობდა ისეთი მდგომარეობა შეემუშავებინა, რომ ბატონ-ყმობის დანგრევიდან მის ნივთიერ კეთილყოფას არა დაჰკლებოდა რა. ასეთი მდგომარეობა იქნებოდა ყოველ ჯურის საბატონო ყმების ხიზნობაზე გადახურდავება. და თავად-აზნაურობა დაბეჯითებით მოითხოვდა მთავრობისაგან ხიზანთა ინსტიტუტის **საერთო** ინსტიტუტად გარდაქცევას და ამიტომ შეუდგნენ ხიზანთა ინსტიტუტის იდიალურს სამოსელში გახვევას. ვინც ბრმა არ არის და ოდნავადაც არის გაუცვნია თ.-აზნაურების იმ დროინდელი აზრები ხიზნობაზე, იმისათვის აშკარაა, რომ გ.გ. ალ. ყიფშიძის, ან-ფარისა და სხვათა მოძმეთა შეხედულებანი ხიზნობაზე პირწმინდად ძველ თ.-აზნაურთა შეხედულებათა გამეორებაა. ამ მხრით ორმოცი წლის მეცნიერების განვითარებამ ვერაფერი შეასწავლა გ.გ. ალ. ყიფშიძესა და ან-ფარს, მაგრამ ფრიად საგულისხმიეროა ისაა, რომ თავად-აზნაურულ შეხედულებათა მსხვერპლი პირველ ყოვლისა ის მთავრობა შეიქმნა, რომელიც—ზოგიერთების ფიქრით-აცხადებდა პრეტენზიას სიმართლისა და გლეხთა ინტერესების დაცვას. „ხიზანთა მდგომარეობა — რომელზედაც თავად-აზნაურობა გვითითებს როგორც საშუალებას ყმების მომავალ ცხოვრების მოსაწყობად—ამბობს მთავრობის კომიტეტი—ჭეშმარიტად (!?-თ. ღ.) ერთი ბედნიერი თავისებურებაა სამამულო დამოკიდებულებისა. (აგრე.—თ. ღ.) იგი ხიზნობა სავსებით ცნობილია ყოველ ქართველისათვის. ყმურ მდგომარეობიდან ხიზანთა მდგომარეობაში გადასვლით გლეხს ნათლად შეუძლიან წარმოიდგინოს რაც მოელის მას მომავალში. ნათლად და გარკვევით შეუძლიან მას გაიგოს და დააფასოს ყოველივე კანონიერი შედეგი ახალი მდგომარეობისა, როგორც საპირადო ისე სამამულო მემამულესა და მთავრობის წინაშე—რასაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთ რეფორმაში. თუმცა ყმობის უმეტესობა ნივთიერად უკეთეს პირობებში იმყოფებიან ვინემ ხიზნები, მაგრამ თვით გლეხები სრულებით არ შეცდებიან ხიზანთა მდგომარეობის უპირატესობის აღსარებაში... კითხვის ამგვარად დაყენება მოასწავებს ყმობის მდგომარეობის გაუმჯობესობას“...4) ამნაირად, ხიზანთა შესახებაც მთავრობასაც სავსებით შეუმუშავდა თავად-აზნაურული შეხედულება და თუ გლეხთა რეფორმა მაინც არ გადახურდავდა ხიზნობაზე—ეგ იმიტომ—გვიხსნის კომიტეტი—რომ ხიზნობის შექმნა სახელმწიფოებრივ ინტერესს არ შეეგუებოდა. „როგორც ზემოთაც მოხსენებულია—ამბობს კომიტეტი—სახელმწიფოებრივი ინტერესი, რომელსაც უმთავრესი და დამოუკიდებელი ადგილი უჭირავს საგლეხო რეფორმაში—არ შეიძლება დათრგუნვილ იქნას. მთავრობას არ შეუძლიან მისცეს ვისმეს ისეთი უფლება, რომლის უზრუნველყოფა მას საქმეში არ შეეძლება. შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ ხელშეკრულების ვადის გასვლით მრავალ-რიცხოვანი ყმები—რომელნიც მთელ მცხოვრებთა მესამედს არა ნაკლებს შეადგენს—მემამულეთა მოთხოვნილებით გაძევებულ იქნას მის საუკუნო საცხოვრებელ ადგილიდან და მით მთელი სოფლები დავაცალიეროთ. მეორედ, ბატონ-ყმობიდან გამოსული გლეხ-კაცობა, რომელსაც არ ექნება მკვიდრი საცხოვრებელი ადგილი ვერავითარ სასოფლო საზოგადოებას ვერ შეადგენს, ვინაიდან ადამიანები, რომელნიც ერთ ალაგას მხოლოდ დროებითი საცხოვრებლად შეყრილან ვერ წარმოშობენ იმ საჭირო ელემენტებს, ინტერესებს, რომელნიც სასოფლო სამართველოსათვის არის საჭირო. თვით-მმართველობის საშუალებას მოკლებულნი ისინი თავის მხრივ შეავიწროებენ სახელმწიფოებრივ მმართველობის ყოველ დარგს... მესამედ, სანამ არსებული საგადასახადო სისტემა და ყოველგვარი სახელმწიფო ხარკი მხოლოდ-ღა დაბალ წოდებაზეა დაკისრებული, უსამართლობა და შეუძლებელი იქნებოდა არ უზრუნველგვეყო წოდება იმ საშუალებით, რომელნიც შესაძლებლად გახდიან გადასახადების უზრუნველყოფას“. 5) ამ მოსაზრებით უარყო მთავრობამ—კომიტეტმა საქართველოს თავად-აზნაურობის რეაქციონური პროექტი. შეუძლებელია მთავრობის მოსაზრებანი მის იდუმალ განზრახვებად მივიღოთ, ვინაიდგან, სწორედ იგივე მოსაზრებანი უნდა გამხდარიყო იმის საბაბად, რომ არსებული ხიზნობა რეფორმით მოესპო და გლეხთა მდგომარეობა ასე თუ ისე განემტკიცებინა; მეორედ, გადასახადების ამტანი ხალხის სვე-ბედით მართლა რომ დაინტერესებული ყოფილიყო მთავრობა, განა იგი თავისავე ზომებით შექმნიდა პროლეტარიატის დიდ ლაშქარს? დიაღ მთავრობამ ხიზნობის „სტატუსკვო“ 1864 წლის დებულებაში სავსებით დაიცვა და ხელუხლებელი დატოვა, ხოლო სანადელო ნორმა ჯერ საერთოდ შეამცირეს ქართველ გლეხთათვის და შემდეგ ადგილობრივ დებულების მეექვსე და მეასოცდაათე მუხლებით საშუალო შეძლების მებატონენი სანახევროდ გაანთავისუფლეს ნადელების გაცემისაგან, ხოლო მცირე მამულიანები სრულიადაც გაანთავისუფლეს ასეთ მოვალეობისაგან. ასეთ საგანგებო ზომების გამო სრულიად უმამულო ხალხი, ბოგანოები ძლიერ გამრავლდა საქართველოში. თავად-აზნაურობას ბატონ-ყმობის გადაგდება იმიტომ აშინებდა, რომ იგი გლეხის განთავისუფლებასთან ერთად ჰგულისხმობდა აგრეთვე მის რამდენადმე გამამულიანებასაც, რაიცა თავად-აზნაურობას—როგორც წოდებას სხვისი შრომით მცხოვრებს მართლა რომ საშინელ სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობაში ჩააყენებდა. მაგრამ 19 თებერვლის საერთო დებულებიდგან ქართველ ყმებს თითქმის არაფერი ერგო და ამიტომ თავად-აზნაურობის შიშიც უსაფუძვლო შეიქნა. თ.-აზნაურობის მამულიდგან გაძევებული განთავისუფლებული გლეხ-კაცობა გაცილებით უარეს ყოფაში იქნა ჩაყენებული, ვინემ იგი იმყოფებოდა ბატონ-ყმობის დროს. მაშინ დასამუშავებელი მიწა მაინც იყო. ახლა კი უმიწა-წყლოდ ქუჩაში დარჩა გარიყული. სუსტი მრეწველობა, სრული გაუნათლებლობა, უგზოობა, ერთი სიტყვით გლეხს ხელ-ფეხი ჰქონდა შეკრული, რომ დამოუკიდებელი ცხოვრება გაეჩაღებინა. ამნაირად გლეხ-კაცობა იძულებული იყო თ.-აზნაურულ მამულისათვის მიემართა კვლავ. თ.-აზნაურობაც ამ ხანებში დამფრთხალი იყო მუშა ხელის შემცირების გამო და თავის მხრივ დიდის ხალისით ეკიდებოდა მოიჯარადრეობას, ხიზნობას. უცხოდ და გადამთიელნიც მოჰყავდა ბატონს და ასახლებდა მამულში—უმთავრესად სახიზნო წესით—რომ „ხიზანი“-ს შრომით მიწიდან შემოსავალი ელო. ამიტომ იყო, რომ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიაში თუ 1861 წლისას ირიცხებოდა სულ 8.102 კომლი ხიზანი (ტფილისის გუბ.—5.938 კომლი, ქუთაისის-

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 1112.

3) Ibidem, გვ. 236. აგრეთვე დაწვრილებით სვ. ავალიანისა „Крестьянскій вопросъ въ Закавказьѣ“, I და II ტომები.

4) ზისერმანის „კრებული“ ნაწილი 2, გვ. 372—373. სვ. ავალიანის თხზულების მეორე ტომის დამატება, გვ. 121—122.

5) ibid., გვ. 374.

თავის მხრივ ფარულ ვაჭრობას გააძლიერებს. ამისათვის საჭიროა უკიდურესი ზომები მივიღოთ, რათა კანონ-პროექტის მთავარი მიზანი განხორციელდეს. საბჭომ 19 წევრის შესწორება მიიღო. მეხუთე განყოფილების განხილვას რომ შეუდგა საბჭო, მიიღო სურვილი, რათა მთავრობამ ახლო ხანში შეიმუშაოს და საკანონმდებლო დაწესებულებებში წარუდგინოს კანონ-პროექტი მაგარ სასმელთა წესიერ ვაჭრობის ზედამხედველობის გაძლიერების თაობაზე; მიიღო აგრეთვე მეხუთე განყოფილება: კანონ-პროექტი მის გამოქვეყნების სამი თვის შემდეგ შევა ძალაში. ის მუხლი კი, რომლითაც იკრძალება მაგარ სასმელების ვაჭრობა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებების ბუფეტებში, თეატრებში, სასეირნო ბაღებში და სხვაგან, შევა ძალაში გამოქვეყნების შემდეგ პირველ იანვარიდან: ამრიგად დასრულდა ლოთობასთან საბრძოლველ კანონ-პროექტის განხილვა. მთელს კანონ-პროექტს კენჭს მაშინ უყრიან, როდესაც კანონ-პროექტი შეტანილ ცვლილებითა და შესწორებით დაიბეჭდება.

შემდეგი სხდომა 12 თებერვლისთვის არის დანიშნული.

მორიგი განსახილველი საკითხი არის ნოქართა დაქირავების კანონ-პროექტი.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ გაზეთი „კავკაზი“ სწერს: „ეპისკოპოსმა ანტონმა საქართველოს ეგზარხოსს წარუდგინა შარშან ზაფხულში თავისი მოგზაურობის ანგარიში ფშავ-ხევსურეთში. ეპისკოპოზს საჭიროდ მიაჩნია „ამ მიყრუებულ, ნახევრად ქრისტიან და ნახევრად წარმართთა მხარეში“ ქრისტიანობის გასაღვივებლად გაემგზავროს სახარებისა და ჯვრის წამძღვარებით. ეგზარხოსმა ალექსიმ ამ მოხსენების მიხედვით, უკვე შეუკვეთა მმოძრავ ეკლესიის დამზადება, რომელსაც ამ ზაფხულს თან გაიმძღვარებენ და ამ წარმართთა მოსაქრისტიანებლად არქიელის წირვა-ლოცვას გამართავენ. ამასთანავე დაარიგებენ პატარა ჯვრებსა და წიგნებს“.

◆ საკომერციო კურსების დამაარსებელმა **ტ. მ. ფილოსიანმა** ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგინა წესდება მის მიერ ტფილისში განზრახულ უმაღლეს საკომერციო კურსებისა.

◆ **ექსკურსია.** გაზაფხულის დასაწყისს ტფილისს ესტუმრება სტამბოლელი სასწავლებლების მოსწავლეთა ექსკურსია, რომელიც კავკასიის სხვა ქალაქებსაც მოივლის.

◆ **სამკურნალოს კურთხევა.** კვირას, 9 თებერვალს, ნავთლუღში აკურთხეს წითელ ჯვრის საზოგადოების ახალი უფასო სამკურნალო, რომელსაც ყოველ წლიურად ქალაქი 300 მან. აძლევს. კურთხევას დიდძალი ხალხი დაესწრო.

◆ ოთხშაბათს, 12 თებერვალს, დანიშნულია ახალს სასაკლაოზე **სანიმუშო დაკვლა** საქონლისა, რომელზედაც ტფილისელს ყასბებს გააცნობენ და შეასწავლიან დაკვლის ახალს საშუალებებს და იარაღებს. ამ საქმისათვის ჩამოვა გერმანიიდან საგანგებოდ მოწვეული ინსტრუქტორი-მასწავლებელი.

◆ მიუხედავად იმისა, რომ ახალს სასაკლაოზე გაცხარებული მუშაობა სწარმოებს, მაინც მარტზე ადრე გადატანა სასაკლაოსი ახალს შენობაში შეუძლებლად არის ცნობილი.

◆ ახალს სასაკლაოს მოსამსახურეთა შტატის შევსება დამთავრდა, ძველი სასაკლაოს მოსამსახურენი მთლად გადაყვანილ იქმნენ ახალს სასაკლაოზე; ბუღალტრად იქმნა დანიშნული თუმანიანცი, კანტრალიორად ნასიბოვი, დამთვლელებად ხაჩატურიანცი, ალავერდიანცი, გასპარიანცი და გასპარიანცი.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ტფ. ქართველ ქალთა საზოგადოების საერთო კრება მოხდება** შაბათს, 15 თებერვალს, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში. საზოგადოების წევრთათვის ექიმი ვ. ღამბაშიძე წაიკითხავს ლექციას: „ბავშთა აღზრდა და ჰიგიენა“. დასწრება გარეშე პირთაც შეუძლიანთ.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების** წლიურ კრების გაგრძელება 9 თებერვალს მოხდა. კრებამ გამგეობა ახალს წევრებით შეავსო. ახლად არჩეულ იქმნენ ბ-ნნი: ლორია, კიკალეიშვილი, ერზიკიანცი, ესაიანცი, დგებუაძე, თუმანოვი, მიხაილიდისი, პარნიევი, კოზლოვი, მეტეხელი, პავლოვი და თარხანოვი. სარევიზიო კომისიის წევრთა ასარჩევად ცალკე კრება მოხდა.

◆ **სამოქალაქო ინჟინერთა საზოგადოების** წევრთა კრება დღეისთვის არის დანიშნული საგუბერნიო სამმართველოს საღმშენებლო განყოფილების შენობაში, კრება სხვათა შორის, განიხილავს წარსულ წლის ანგარიშს და აირჩევს საზოგადოების გამგეობის ახალ წევრებს.

◆ **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს კრება დანიშნულია 12 თებერვლისთვის. საბჭო მოისმენს ამას წინად არჩეულ სარედაქციო კომისიის მოხსენებას.

სასწავლებლებში

◆ განზრახვაა, მოკლე ხანში ხაშურში რეალური სასწავლებელი გახსნან.

სომეხთა ცხოვრება

◆ **პრინციპიალური საკითხი.** სასულიერო საქმეთა დეპარტამენტმა საკითხი აღძრა იმის შესახებ, რომ ეჩმიაძინის სინოდი ქაღალდების პირებს იძლეოდეს რუსულად გადათარგმნილს. სინოდმა განიხილა ეს საკითხი და დეპარტამენტს უპასუხა: სინოდი და საეპარქიო კონსისტორიები რუსეთში, როგორც კოლეგიალური დაწესებულებანი, ხელმძღვანელობენ კანონის 131 მუხლით, რომელიც არ ავალებს ქაღალდის პირის გადათარგმნას.

◆ **ეჩმიაძინის აკადემიაში.** ამას წინად აკადემიაში მივიდა ბოქაული და მოითხოვა ცნობები მასწავლებლების შესახებ, თუ ვინ სად სცხოვრობს ან წინად სად მსახურობდა და სხვ.

◆ **სომხის მწერლების საზოგადოება.** ამ საზოგადოების სალიტერატურო საღამოებს ყოველთვის დიდძალი ხალხი ესწრება და რადგან დარბაზი არ იტევს ყველა მსურველს, ამიტომ საზოგადოების გამგეობას გადაუწყვეტია, ყველა მოწაფეს არ მისცეს დასწრების ნება.

◆ **სკოლების დაკეტვა.** კარიაგინის მაზრის ზოგიერთ სოფელში ბოლო დროს რამდენიმე სამრევლო სკოლა დაიკეტა და მათ ნაცვლად სოფლელებმა გახსნეს სამინისტრო სკოლები.

გორი

◆ კვირას, 2 თებერვალს, შუადღის მატარებლით, თვის სამწყსოს დასათვალიერებლად ეწვია გორს სომხეთა ეპისკოპოსი მესროპი. ეპისკოპოსს სადგურზე დაუხვდნენ გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ნ. თუმანიშვილი, გორის ქალაქის თავი თანაშემწეებით, სომხის სამღვდელოება და სხვ. სადგურიდან ეპისკოპოსი მხლებლებით ეტლით გაემგზავრა სომხ. ყოვლად წმიდის ტაძარში, სადაც გადაიხადეს წირვა. წირვაზე მლოცველთ სომხურად სიტყვით მიმართა ეპისკოპოსმა. ორი დღის შემდეგ ეპისკოპოსი ცხინვალისკენ მიემგზავრება.

◆ ქალაქის გამგეობა უკვე აძლევს ახალ ინსტრუქციებს ყასბებს. ხორცის დამალვა არ შეიძლება. მთელი ხორცი გამოკიდული უნდა იყვეს საყასბოში და ზედ ეწეროს—„ძროხის ხორცი“, „ცხვრის ხორცი“ „კამეჩის ხორცი“ და სხვ. ყველა ყასაბს დაურიგდება საგანგებო წიგნები, რომელიც უნდა მოთხოვოს და ჩასწეროს შიგ მუშტარმა, თუ ყასაბმა მას ნიხრზე მეტად მიჰყიდა ხორცი და სხვ.

◆ კვირას, 2 თებერვალს, ვინმე პერეტოგინმა ნახევარ საათში დაუსვენებლივ გაირბინა ათი ვერსი საარტილერიო მოედანზე (ირგვლივ) ხალხი მრავალი დაესწრო. სახალხო წარმოდგენების და ლექციების ფასი 50—10 კაპ.-მდეა და მსმენელნი დარბაზში თითებზე ჩამოითვლებიან ხოლმე. „თვალის საამებელს“ კი, ჭიდაობას, თვალთმაქცობას და სხვ. ხალხი მუდამ ბლომად ესწრობა ხოლმე.

◆ ქალაქის გამგეობა დროებით მოელაპარაკა ამხან. „ამპერს“ და ქალაქი რამდენიმე დღეა ისევ გაანათებს ელექტრონით.

◆ ქალაქში ყალათმამ იჩინა თავი. უკვე რამდენიმე ბავშვი გარდაიცვალა. საჭიროა დროზე იქმნეს მიღებული სათანადო ზომები, რათა ეს სენი არ გავრცელდეს.

◆ შაბათს, 1 თებერვალს, გორის მცხოვრები გ. მეკრავიშვილი ამხანაგებით ყოფილა ს. გორიჯვარში ქორწილში. ერთ-ერთ ამხანაგს ხუმრობა დაუწყვია რევოლვერით, მაგრამ უცებ გავარდნია, ტყვია მოჰხვედრია ხსენებულ მეკრავიშვილს და იგი უსულოდ დაცემულა. მეკრავიშვილის ცხედარი გორში ჩამოასვენეს იმ დღესვე.

ბაქო

◆ დეპეშათა სააგენტო იტყობინება: შავ ქალაქში იწვის ბაკუტინის ქარხნის ნავთის რეზერვუარი. ქარხანა დაიწვა. ზარალი 100.000 მანეთს აღემატება.

◆ ყარსის გზაზე სადგურ ახტალასა და ახპატის შუა ყაჩაღთა ბრბო თავს დაეცა სამგზავრო მატარებელს; გასძარცვეს მგზავრნი, მოჰკლეს პოლკოვნიკი ბოგომილოვი და დასჭრეს ერთი კონდუქტორი ბორიატ-გამზრახველნი მატარებლიდან გადახტნენ და მიიმალნენ.

შეცდომის გასწორება. ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში, „ახალ ამბავის“ განყოფილებაში არის შეპარული შემდეგი შეცდომა; „ტფილისის სასაკლაოზე 1913 წლის განმავლობაში დაიკლა მსხვილფეხა საქონელი 62.034 სული, წვრილფეხა—270.594 სული“, **უნდა იყოს:** დაკლულა მსხვილფეხა—62.034 სული, ხბო—4171, ცხვარი—129.519, ბატკანი—38.265, ღორი—26.218, გოჭი—563, კამეჩი—9794, ცხენი—30, სულ 270.593.

იმავე განყოფილებაში გადამახინჯებულად არის მოხსენებული გვარი ახლად დანიშნულ ტფილისის სასაკლაოს მეხუთე ბეითლისა—დებრიუხსი, **უნდა იყოს დებრიუქსი.**

ქართული საღამო ხარკოვში

30 იანვარს გაიმართა ტრადიციული ქართული საღამო ადგილობრივ სათვისტომოს და სათეატრო კომისიის ხელმძღვანელობით.

არსებითად „ქართული“ ამ საღამოებში მხოლოდ სახელია, რადგანაც თითქმის შეუძლებელია ნამდვილი ქართული ელფერის მიცემა მარტო ჩვენი სტუდენტობის ძალღონით და მოწვეული კი არავინა ყოფილა. მიუხედავად ამისა, ამ საღამოებს მაინც ერთგვარი სიმპატია აქვთ აქაურ საზოგადოებაში დამსახურებული და ხალხიც ყოველთვის ბლომად ესწრობა.

პირველად წარმოადგინეს მელოდიური ოპერეტა „ღატაკი სტუდენტი“.

ამის შემდეგ კი დადგმული იყო სურათი ჩვენი ცხოვრებიდან: ალავერდობა.

აიხადა ფარდა და სცენაზედ სუფრის გარშემო მსხდომი სტუდენტები გამოჩნდნენ ეროვნულ ტანსაცმლებში გამოწყობილნი.

არეული ელფერი კი ჰქონდა ამ ხალხს: გურული ჩაცმულობა, ჩოხა-ახალუხი, ქულაჯები და ძველებურ კაბაშიც კი იყო გამოწყობილი. იყო ორიოდე ქალიც ქართულად ჩაცმული. ზიზილ-პიპილიან, „ბუზმენტებიანი“ ჩოხები კი ვერ შევამჩნიეთ წელს, თუმცა კი ასე გამოწყობილნი უფრო სჭრიან თვალს აქაურებს.

შემოსძახეს გძელი მრავალ-ჟამიერი. ხოროს მაინც და მაინც დიდი მომზადება არ ეტყობოდა; და თუ მაინც კარგად ჩაიარა სიმღერებმა ეს მთლად ძმ. ტატანიძეებს უნდა მიეწეროს.

მხურვალე ტაშის-ცემით დააჯილდოვეს ხორო. შესანიშნავად დაუკრა თარზე სტუდ. ვერდიანმა. შემდეგ გაიმართა ცეკვა. აღმოსავლური დასაკრავებით: ლეკური, კინტოური, უზუნდარა და სხ. ტიპიური კინტო იყო თავისი „ზღვა“ შალვრით და მიხვრა-მოხვრით სტ. ვახვახიშვილი, რომელმაც რამოდენიმეჯერ იცეკვა კინტოური. კარგი კინტო იყო აგრეთვე გ. როინიშვილი. მათ ორივეს შემდეგ დაჰქონდათ ხონჩით ხილეულობა და „დული-დული“-ს ძახილით კარგად შეაგროვეს ფული. კარგად იცეკვეს აგრეთვე სტუდ. ვერდიანის მეუღლემ და სხვებმა. საზოგადოება ბევრი დაესწრო სიმხიარულეც ხომ მეტი აღარ იქნებოდა. ერთი სუფრიდან გადადიოდა მეორეზე მრავალ-ჟამიერი და სხვა სუფრული სიმღერები. შემოსავლის მხრივაც შედარებით არა უჭირდა რა საღამოს: წმინდა მოგება 900 მანეთზე ნაკლები არ უნდა იყოს.

მადლობის ღირსია ერთობ მთელი სათეატრო კომისია და განსაკუთრებით კი ბუფეტის გამგე ლ. ბრაგვაძე თავისი თანამშრომლებით, რადგანაც ყველაზე მძიმე და პასუხისმგებელი საქმე მათა ჰქონდათ ჩაბარებული.

ს--თ.

მეხილეთა საყურადღებოდ

როსტოვში ყოფნის დროს ერთხელ ბაყლის დუქანში წვრილ ვაშლს შევევაჭრეთ, ქათმის კვერცხზე მომცროს. გირვანქა 25 კაპ. დაგვიფასეს. ავაწონინეთ... ვკითხეთ საიდაურია ხილიო. გვითხრეს—ყირიმისააო. ჩემი მეგობარი შემომეჯავახა—ეს ხილი უეჭველად გორის მაზრისა უნდა იყვესო. კარგა ხანს ვათვალიერებდით, ფასებს გადაკვრით ვეკითხებოდით. კარგა ხნის ჩიჩინის შემდეგ წინ წამოდგა 13—14 წლის რუსის ბიჭი დ გვითხრა, ეს ხილი გორის მაზრისა არისო. გორის მაზრაში ვიყავით. ჩამოგვითვალა სოფლები—ტყვიავი, კარალეთი, ნიქოზი და სხვ. გლეხების სახელებიც გვითხრა—მიხო, ვანო, ანდრო და სხვ. გავიგეთ, რომ სარდაფის პატრონი ქართველი იყო—ულარჯიევი (ულარჯიშვილი). ქართულად დაგვიწყო ლაპარაკი. პირველს დღეს ბევრი არა გვითხრა რა. შემდეგში დავუახლოვდით. იგი, თურმე, 25 წელიწადია ვაჭრობდა ხილით როსტოვში დ მთელი ამ ხნის განმავლობაში ხილი სულ ყირიმიდან ჩამოჰქონდა. იმ წელს კი (1911 წ.) გორის მაზრიდან ჩამოეტანა 300 თუმნის ვაშლი.

300 თუმანი ხელად ავაყენე ნარდად გაყიდვით, ეს კი, რასაც აქა ჰხედავთ, სულ მოგებააო. გორის მაზრის ხილს ის შევამჩნიე, რომ კარგ გემოსთან და სილამაზესთან კარგი სუნიც აქვს, წელს ამ ხილის გამო მეტი მუშტარი მყავს. მაგრამ მაინც „ყირიმის“ ხილად ვასაღებ, რადგან სხვა რომ ვუთხრა—არ იყიდიანო. შემდეგ სულ გორის მაზრიდან ეპირებოდა ხილის ზიდვას. არ ვიცი, მასუკან ულარჯიშვილმა წაიღო გორის მაზრიდან ხილი, ან ვაჭრობს კიდევ როსტოვში თუ არა—ავად იყო და სამშობლოში დაბრუნებას ეპირებოდა... ბევრჯელ გვინატრია მაშინაც, მას შემდეგაც—დაარსებულიყო ჩვენში მეხილეთა ამხანაგობა, რომელიც სათანადო გზას მისცემდა საერთო ღონით ჩვენებურს ხილს...

მეურნეობის ერთ მთავარ დარგად ქართლში მეხილეობა უნდა ჩაითვალოს. მეხილეობას წინადაც მისდევდნენ გორის მაზრაში, ადგილობრივი ბუნება, ჰავა მშვენიერს პირობებსა ჰქმნის ამისთვის, მაგრამ არც ერთს სხვა დარგს მეურნეობისას ამ ბოლო დროს ისეთი ინტენსიური ხასიათი არ მიუღია, როგორც მეხილეობას. ბევრგან მიანებეს ხვნას თავი, გადაჩეხეს ვენახები და ხეხილის დარგვა-მოვლას მიჰყვეს ხელი. გლეხებმაც კი დაინახეს მეურნეობის ამ დარგის სარგებლობა და ისინიც მოეკიდნენ მეხილეობას. მაგრამ, რამდენადაც სასიხარულოა ეს მოვლენა, იმდენად სამწუხაროა ის, რომ ჩვენებურ ხილს ბაზარი არა აქვს, არ არის ადგილი, სადაც მწარმოებელმა ნაწარმოები გაიტანოს. გაჰყიდონ პირდაპირ, უშუამავლოდ... სწორედ ამან წარმოშვა ის დიდი ლაშქარი ჩარჩ-ვაჭრებისა, რომლებიც გაზაფხულიდანვე სქლად ედებიან ჩვენს სოფელს და კუკურშივე ჩასახულს ხილს იგდებენ ჩალის ფასად რამდენიმე წლობით. გლეხს ფული უჭირს. ამას გარდა იცის, რომ შემდეგში გაყიდვა მას დროს წაართმევს, შეიძლება იზარალოს კიდეც. არ იცის სად გაჰყიდოს, როგორ გაჰყიდოს. ისევ ძალა-უნებურად ჩარჩის ქსელში ებმება...

ამიტომაც არის, რომ თუმცა მეხილეობა თანდათან იკიდებს ფეხს, მაგრამ პატრონს იმდენად ხეირს მაინცა და მაინც ვერ აძლევს. ნაწარმოებს გასაღება უნდა, ბაზარი, სადაც პირისპირ შეიყრებიან მწარმოებელი და მომხმარებელი... ეს ბაზარი კი მას არა აქვს...

ბაზრის მოსაპოვებლად და პირდაპირ მომხმარებელთან კავშირის დასაჭერად საჭიროა შეერთებული ძალა, ამხანაგობა, თანხმობა საერთო სამოქმედოდ, უამისოდ კერძო ცდა, ცალ-ცალკე მოქმედება ამაოდ შეეხეთქება ჩარჩების მიერ აღმართულ კედელს... კერძო კაცისათვის ძნელია ამ სიშორეზე ხილის გატანა. ეს დრო ითხოვს, თავისუფალ ადამიანს სხვა ხარჯს. ჩვენი მეურნის გახვრეტილი ჯიბე ამას ვერ აიტანს. აუცილებლად საჭიროა მეხილეთა ამხანაგობის დაარსება. ეს ამხანაგობა თავს მოუყრის ერთად წევრთა ნაწარმოებს, დაიჭერს კავშირს სავაჭრო ალაგებთან, გახსნის როსტოვში და სხვაგან ხილს მაღაზიებს და თამამად გაიტანს ხილს ბაზარზე.

მეხილეთა ამხანაგობის დაარსება ამ 4—5 წლის წინად განიზრახეს გორში. ჰგონებ გამგეობაც ამოირჩიეს, მაგრამ ამ ამხანაგობისა აღარა ისმის რა. დროა თავი დავაღწიოთ სალათას ძილს, დროა მოვკიდოთ საქმეს ხელი.

სანგანიძე.

საკანონმდებლო დაწესებულებებში

(დეპეშები)

პეტერბურგი. სათათბიროს საბიუჯეტო კომისია შეუდგა საკრედიტო ნაწილის კანცელარიის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. ფინანსთა მინისტრი საკითხებზე განმარტებას იძლეოდა. სხვათა შორის, შინგარევი შეეკითხა მინისტრს, როგორ ესმის მას უმაღლესის რესკრიპტის წინადადებანი სახალხო კრედიტის მოწყობის თაობაზე, ბარკმა უპასუხა: მიწათმოწყობის მთავარ სამართველოსთან შეთანხმებით განზრახულია საგანგებოდ მოეწყოს კრედიტი ჩამონაჭრებზე დასახლებულ მეურნეთათვის; აგრეთვე მოეწყობა კრედიტი დანარჩენ მეურნეთა ჯგუფთათვის მიწათმოქმედების ფორმასთან შეფარდებით. განზრახულია გაუმჯობესდეს წვრილი კრედიტის ორგანიზაცია და გონივრულ ნიადაგზე დაფუძნდეს სახელმწიფო ბანკის თანხით სარგებლობა საწარმოო კრედიტისათვის ბარკს კიდევ სხვა და სხვა კითხვით მიჰმართეს, რაზედაც მინისტრმა პასუხი გასცა.

ბეჭვდითი სიტყვის კომისიამ მიიღო განხილული მუხლები მთავრობის პროექტის რედაქციით ნაციონალისტებისა, ოქტომბრისტებისა და მემარჯვენეთა ხმის უმრავლესობით. უარჰყვეს ოპოზიციის შესწორებანი სხვათა შორის, მიიღეს 1039 მუხლი დიფამაციის თაობაზე პარჩევსკის შესწორებით, რომლითაც თანამდებობის პირთა შეურაცხყოფილ ფაქტების დასამტკიცებლად წერილობითი საბუთების გარდა ყოველგვარი დამტკიცება უნდა იქნას შეწყნარებული.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

9—10 თებერვალი.

უცხოეთი.

პეკინი. გადამდგარ მინისტრების ნაცვლად იუსტიციის მინისტრად დაინიშნა უმაღლეს სამოსამართლო პალატის თავმჯდომარე ჯანც-ჟუნსიანი და სახალხო განათლების მინისტრად იან-სიუ.

პარიზი. დეპუტატთა პალატა. ჯარის სასანიტარო მდგომარეობის თაობაზე შეკითხვის განხილვას აგრძელებენ. სამხედრო მინისტრის თანაშემწემ განაცხადა: ჯარში სიკვდილი და სნეულებანი ჰავით არის გამოწვეული, ჯარების სადგომში სასანიტარო მდგომარეობა საგრძნობლად არის გაუმჯობესებულიო. მემარჯვენენი და ცენტრი მთავრობის განმარტებას დაკმაყოფილდნენ. შეკითხვის განხილვა ორშაბათს გაგრძელდება.

ელპაზო (ტეხასი). ბენტონის დასჯის დღეს დააპატიმრეს გერმანელი ამერიკის მოქალაქე ბაუხი; მას ჯაშუშობა ჰბრალდება. სამხედრო სასამართლომ ბენტონს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა; მას ჰბრალდებოდა შეთქმულებაში მონაწილეობა, პროვოკატორობა და გენერალ ვილის შეურაცხყოფა.

ვალონა. საერთაშორისო საკონტროლო კომისიამ ჰოლანდიის ოფიცრებთან შეთანხმებით საალყო წესები გააუქმა.

ნეივიდი. მოვიდა ალბანეთის დეპუტაცია ესად-ფაშას მეთაურობით. სასახლის დარბაზში ესად-ფაშამ გოფმარშალს წარუდგინა დეპუტაციის წევრნი. დარბაზში შემოვიდა პრინც ვილჰელმი მეუღლითურთ, სხვა პრინცები და პრინცესები. პრინცი ვილჰელმი ესად-ფაშას მიესალმა; ესად-ფაშამ ალბანურ ენაზე სიტყვით მიჰმართა პრინცს; ესად-ფაშამ აღნიშნა, რომ დელეგაცია მოვიდა, რათა შესთავაზოს პრინცს თავისუფალ და დამოუკიდებელ ალბანეთის ტახტი და გვირგვინი. ესად-ფაშამ თავისი სიტყვა შემდეგით დააბოლოვა: „გაუმარჯოს მის უდიდებულესობას ალბანეთის მეფეს!“ პრინც ვილმა უპასუხა ესად-ფაშას და აღნიშნა, რომ ალბანეთი მისთვის მეორე სამშობლოა, რომლის კეთილდღეობასაც იგი შეალევს მთელს თავის ძალ-ღო-

---

საში—2.164 კ.), 1873 წლისას კი იგი ავიდა 8.409 კომლამდე, ხოლო 1880—4 წ. წ.—9.402 კ.! 1890 წლის შემდეგ ხიზანთა რიცხვის ზრდა სწყდება, პირიქით იგი ეცემა მეტად. ეს ფაქტი ფრიად შესანიშნავია და მისი შესწავლა ჩვენი თავად-აზნაურობის მთელ სულის დგმას აშკარავებს.

ბატონ-ყმობის გადაგდების შემდგომ პირველ ხანებში მდგომარეობა ასე იყო თუ ისე ასატანი გახლდათ. მომავალი-ხიზანისათვისაც გამოურკვეველი იყო და მემამულეებისთვისაც. ამიტომ, გლეხიც ეტანებოდა ხიზნობას დ მემამულეც აყენებდა გლეხებს სახიზნო პირობებში. მათ შორის მორიგება კი ჰგულისხმობდა გადასახადების გამორკვევას, რომელიც საზოგადოდ როგორც ეს ბატონ-ყმობაში იყო, დაახლოვებით ერთ დონეზე იდგა და იგი მხოლოდ არაჩვეულებრივ მოვლენათა და დიდი დროს გასვლით თუ შეიცვლებოდა. მაგრამ ასეთი ერთფეროვნობა ახასიათებდა მხოლოდ იმ ნატურალურ მეურნეობის ხანას, რომელსაც წარმოადგენდა ბატონყმობის დრო. შემდეგ წლებში მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა და საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარება, ცვალებადობა სწრაფად წავიდა წინ. ცხოვრება გართულდა, ქალაქების გაშენებით და ევროპიულ კულტურის გაძლიერებით თავად-აზნაურობა გამოყვანილ იქმნა სოფლის მჭვარტლიან სახლიდგან. ფაბრიკის საუცხოვო ნაწარმოები და ქარხნების მასალები შესაძლებლადა ხდიდნენ არა მარტო პირადი გემოს დაკმაყოფილებას, არამედ თვით მთელ მოსახლეობის რეორგანიზაციას. სწავლა, განათლება, კლუბი, თეატრი, ქალაქი—აი ახალი დროის ასპარეზი.

მეორე მხრივ, ცხოვრების ახალ ვითარებათა განვითარებით სოციალურ კლასების მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. დიდი იყო რეფორმების დუხჭირად წაყვანით გამოწვეული სიღარიბე, უძლურება. მიწის ფასი მეტად გაიზარდა, ღალა, კულუხი და ყოველგვარი ნატურალური გადასახადი გადიდებულ იქმნა. მიწის საზოგადო სივიწროვემ გაამეფა იჯარადრობა, რაც მემამულეთათვის ფრიად ხელსაყრელი იყო. ცხოვრების ამ ახალ გარემოების გამო, რეფორმების დროში შემოღებული ხიზნობა არც იმდენად ხელსაყრელი გამოდგა თავად-აზნაურობისათვის, რადგან დასახლებული ხიზნობისაგან, შემოსავალი ერთნაირი იყო, ხოლო შემდეგ კი ცხოვრებამ გააჩინა ხალხი, რომელნიც ხიზნებზე გაცილებით მეტს გაიღებდნენ მემამულეთა სასარგებლოდ. „ხიზნები—ამბობს ერთ საყურადღებო სტატიაში ბ. ივანოვიჩი—რომელნიც აქნობამდე სასარგებლონი იყვნენ მიწის მფლობელთათვის... შეიქმნენ ნაკლებად სასარგებლონი, რადგანაც დაიბადა შესაძლოება სხვა მოიჯარადრეებისაგან — არა ხიზნებისაგან — მეტი შემოსავლის მიღებისა“.[6] ამნაირად, შეცვლილმა საზოგადოებრივმა მდგომარეობამ[7], შემოსავლის საუმჯობესო წყაროებმა თავად-აზნაურობის გუნებაც შესცვალა და „აი—ახასიათებს ივანოვიჩი—მემამულენი იწყებენ ხიზანთა ჩვეულებრივ უფლების შებღალვას გადასახადების მომატებით ან და ხიზნების მამულიდან აყრა-გაძევებით. ამ მიზნის მისაღწევად ხმარობენ სხვა და სხვა საშუალებებს. გალაპირებას, მოტყუილებას, ძალადობას და სასამართლოს საჩივრებს ხიზნების, როგორც ჩვეულებრივ მოიჯარადრეების — ასაყრელად. სასამართლოს გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანამ ზოგიერთ ადგილას გამოიწვია კიდეც ეგრედ-წოდებული არეულობანი—„безпорядки“.[8] ზავაროვის მიერ შეკრებილ მასალებისაგან ვხედავთ, რომ თავად-აზნაურობა არავითარ ჩარჩულ ხრიკებს არ თაკილობს, ოღონდ ხიზნების ზურგიდან მეტი ქონი აიღონ. საწყაოს და საზომის ხელოვნურად გადიდება, იძულებით საიჯარო ხელშეკრულობის დადება, მუქარა და სხვა ასეთები. რა თქმა უნდა გლეხებს არ შეეძლოთ ასე არალ-თარალად მიწაში და ბაღ-ვენახში ჩანასკული შრომა მიეტოვებინათ, მით უფრო, რომ მათი დასახლება მამულზე მებატონის სრულს ნებაყოფლობით ხდებოდა და ამიტომ შეკრულ პირობის დარღვევას გლეხებიც ვერ ურიგდებოდნენ. ამნაირად, ხიზანთა და მემამულეთა შორის ნამდვილი ომი გაიმართა, რის დროსაც როგორც მემამულეები ისე ხიზნები მიმართავდნენ ადმინისტრაცია-მთავრობას და სასამართლოს.

თევდ. ღლონტი.

(შემდეგი იქნება)

---

[6] იხ. Ивановичъ „Обезземеленіе хизановъ“. გვ. 65, „Р. Б.“ 1896 წ. წიგნი მე-6.

[7] თვით მეფის მოადგილის კანცელარიაც კი აღიარებს, რომ „ახალს პირობებში მიწების მცირე ღალისათვის გაცემა მალე შესწყდა, რადგანაც იყვნენ მსურველნი, რომელნიც იხდიდნენ ერთ მესამედს და ნახევარს მოსავლისას და ამავე დროს მალე ვადიან იჯარის პირობით, რაიცა მემამულეთათვის უფრო ხელსაყრელი იყო. იხ. „**Приложеніе къ законопроекту о прекращеніи хизанскихъ отношеній въ Тифлис. и Кут. губерніяхъ**“ გვ. 91.

[8] „Обезземеленіе хизановъ“, იქვე.

ნეს. იგი სთხოვს დეპუტაციას ისეთივე ნდომით მოეპყრან მას, როგორც ჭეშმარიტ ალბანელს. პრინცმა სიტყვის ბოლოს სთქვა: „გაუმარჯოს ალბანეთს!"

ლონდონი, ირლანდიაში ლეიტრიმისა და როსკომონის საგრაფოში წყალდიდობაა. მიმოსვლა შეჩერებულია. ბევრ ადგილას მცხოვრებნი ქალაქს არიან მოწყვეტილნი.

ლონდონი. მეფის სახლობა საღამოთი სამეფო თეატრში იყო. მეორე მოქმედების შემდეგ სამი სუფრაჟისტი ქალი წამოდგა და ხმა მაღლა მოითხოვეს ქალთა საარჩევნო უფლება. სუფრაჟისტები დარბაზიდან გაიყვანეს. საზოგადოება ამ ამბით აღელდა.

ლონდონი. ინგლისის ელჩის თხოვნით შეერთებულ შტატთა მთავრობამ თავის ელჩებს მექსიკაში დაავალა მოახდინონ დაწვრილებითი გამოძიება ბენტონის სიკვდილისა და აცნობონ ვაშინგტონში სახელმწიფო დეპარტამენტს.

ათინა. საბერძნეთმა დღეს წარადგინა საპასუხო ნოტა. პირველად აღნიშნულია კავშირი ეპირისა და კუნძულთა საკითხების შორის; შემდეგ მოითხოვენ კომპენსაციას, რათა საბერძნეთმა შეასრულოს დიდ სახელმწიფო დადგენილებანი ეგეის კუნძულთა თაობაზე. საბერძნეთი მაშინ აცნობებს ოსმალეთს სახელმწიფოთა დადგენილების მიღებას, როდესაც ოსმალეთი მიიღებს მათ. საბერძნეთი შეასრულებს სახელმწიფოთა მოთხოვნილებას და არ გამაგრებს კუნძულებს; საბერძნეთს იმედი აქვს, რომ დიდი სახელმწიფონი უზრუნველჰყოფენ კუნძულებს მცირე აზიის სანაპიროებით თავდასხმისაგან. საბერძნეთი ზომებს მიიღებს, რათა არ მოხდეს კონტრაბანდა ოსმალეთსა და კუნძულებს შორის. კუნძულების მუსულმან მცხოვრებთ მიანიჭებს შეღავათს. საბერძნეთი იმედოვნებს, დიდი სახელმწიფონი თენოდორის, იმბროსის და კასტელორიზოს კუნძულებზე მცხოვრებ ბერძნებისთვის სკოლისა და ენის თავისუფლებას უზრუნველჰყოფს. საბერძნეთი ალბანეთს გადასცემს კუნძულ სასენოს; მიუხედავად გულითად მწუხარებისა, რომელიც გამოწვეულია კულტურისა და სარწმუნოებრივი მხრივ მონათესავე ხალხთან გაშორებით, საბერძნეთმა ბრძანება გასცა გაანთავისუფლონ ოლქები; ამასთან ერთად საბერძნეთი აღთქმას იძლევა ხელი არ შეუწყოს მცხოვრებთა ამბოხებას. საბერძნეთმა საზღვართა გამიჯვნაში რამდენიმე შესწორება შეიტანა.

ბერლინი. „ნორდ-დეიტშე-ალგემეინე-ცაიტუნგი" სწერს: პრინცს ვილს ალბანეთში წასვლა გადაიდო იგი ჯერ პეტერბურგს გაემგზავრება მეფესთან წარსადგენადა და სახელმწიფო მოღვაწეებთან მოსალაპარაკებლად და შემდეგ ალბანეთს წავა.

ელპაზო. (თექასი) გამოქვეყნდა ოქმები ბენტინის საქმის გარჩევისას ბენტინი დაუხვრეტიათ იმის გამო, რომ მას მოუწადნია გენერალ ფილისთვის მოქმედებით შეურაცხყოფა მიეყენებინა. მოწმეებმა აჩვენეს, რომ როდესაც ბენტონსა და ვილის შორის შეტაკება მოხდა, ბენტინმა რევოლვერი ამოიღო. სასამართლოს გარჩევას თვით ბენტონი დაესწრო: მას დამცველი ჰყავნდა. საქმის ხალხის დასწრებით ირჩეოდა.

პრაგა. გერმანელ პროგრესისტთა პარტიამ გადასწყვიტა მონაწილეობა არ მიიღოს ჩეხელ-გერმანელთა შესათანხმებელ კონფერენციის მუშაობაში; პარტია შეუწყნარებლად სთვლის მთავრობის მიერ წარმოდგენილ დებულებათ ენისა და სხვა სადაო საკითხთა გადასაწყვეტად, რადგანაც ასეთივე აზრი გამოსთქვა გერმანელ მუშათა პარტიამაც, შეთანხმების ცდა უნაყოფოდ უნდა ჩაითვალოს.

ვენა. კრამარჟი „ნეის-ფინერ თაგებლატში" მოთავსებულ წერილით აფრთხილებს გერმანელებს ხელი არ შეუშალონ შესათანხმებელ კონფერენციის მუშაობას; უნდა ახსოვდეთ ყველას, რომ „ჩეხის უსეიმოდ რეიხსტაგი ვერიქნება".

რიგა. მენტულის სამექანიკო ქარხანაში და გერცის საოპტიკო ფაბრიკაში მუშაობა განახლდა.

ეკატერინოდარი. ოცი წლის კატორღა გადაუწყვიტეს შელიხოვს, რომელსაც პოლიციელის მოკვლა და თავდასხმა ჰბრალდება.

პეტერბურგი. მოსკოვ-ყაზანის გზის გამგეობა მიწად-მოქმედების დეპარტამენტის დახმარებით აწყობს საგანგებო მატარებელს სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე ბაასისა და ლექციების მოსაწყობად. მატარებლის მიზანია გაავრცელოს მოსკოვ-ყაზანის გზის რაიონში სამეურნეო ცოდნა. მატარებელს ექნება ვაგონი—აუდიტორია, ორი ვაგონი მუზეუმი, და საქონლის ორი ვაგონი.

პეტერბურგი. ტაინი სოვეტნიკი, სათათბიროს წევრი ალექსეენკო დაინიშნა ფინანსთა კომიტეტის წევრად.

სარატოვი. საღამოთი ქალაქის შუაგულში შეიარაღებული თავდასხმა მოხდა მილიონერ ხუდობინის ბინაზე; სამი შეიარაღებული ფულს ითხოვდა; დასჭრეს ხუდობინი, მისი ცოლი და მოსამსახურენი; ბოროტგამზრახველნი მიიმალნენ.

ეკატერინოსლავი. სლავიან-სერბიის პოლიციამ დააპატიმრა ყაჩაღთა ბრბოს ცნობილი მოთავე მალიუგა. მას მრავალი ბოროტ-მოქმედება ჩაუდენია. მასთანვე დააპატიმრეს ესიუცინი.

თეატრი და ხელოვნება

სახალხო სახლი. კვირას, 9 თებერვალს, სახალხო სახლში მეორედ წარმოადგინეს ლობოდას კომედია-სატირა „ბობოლა". ჩვენ უკვე გამოვთქვით აზრი ამ პიესაზე, ვთქვით, რომ იგი აზრიანობას არ არის მოკლებული. მაგრამ მარტო პიესის აზრიანობა როდი კმარა იმისთვის, რომ რეჟისორობა იგი რამდენჯერმე გაიმეოროს. პიესის ერთი უმთავრესი ნაკლი ისაა, რომ ხელოვნებასთან მწყრალად არის. ნიშან-წყალი სილამაზისა, წარმტაცველობისა და მიმზიდველობისა პიესას სრულიად არ ატყვია. ამას კიდევ როგორმე შეურიგდება მაყურებელი, მაგრამ ამ ნაკლს კიდევ ზედ ერთვის არა ნაკლებ მნიშვნელოვანი, ტეხნიკური მეორე ნაკლი: გაჭიანურება, გაზვიადება. კომედია სამ-მოქმედებიანია. ამ სამ მოქმედებაში ერთი მომენტი არ არის ძლიერი, დამტყვევებელი. ჭეშმარიტ ხელოვანს შეეძლო ეს იდეა ცოცხლად ჩამოესხა ერთ-მოქმედებაში. ან ერთი მოქმედება მეორეს ვერ ავსებს და ახალ-ახალი სცენა ახალს არაფერს ჰმატებს. თუ დაურთავთ ამას მწკლარტე დიდაქტიურ ხასიათს პიესისას, საცა ბოლოს და ბოლოს სათნოება და კაცთა შორის სიყვარული იმარჯვებს, უნდა ვთქვათ, რომ პიესა ვერ არის სარეპერტუარო. მას აქვს თავისი კარგი მხარეებიც: აზრიანობა და მომენტის შესაფერი, სადღეისო ამბავი. მაგრამ ნაკლი ჰჩრდილავს ღირსებას. ვერ გაგვიგია, რად დასჭირდათ ამ პიესის განმეორება.

მთავარ როლს ბ. რომანიშვილი ასრულებდა. შემთხვევა მქონდა აღმენიშნა, რომ ბატონი რომანიშვილის უტყუარ ნიჭს მიდრეკილება აქვს კარიკატურიზმისადმი მეტქი. ეს ჩვენი შენიშვნა თან და თან მართლდება: რომანიშვილის თამაში, ხშირად შარჟამდე მიდის. მისი როლი თავისთავად სასაცილოა და საბრალოც. რომანიშვილი კი ყოველთვის ხოლმე. თვის ყოველ ნაბიჯს ხაზს უსვამს და სცდილობს ჰუმორს თვისი ბუნებრიობა დაუკარგოს. მაყურებელთა სიცილმა როდი უნდა წაიტყუოს მსახიობი! მაყურებელნი; უხვნი არიან გულიანი სიცილით დააჯილდოვონ ხოლმე ისეთი ჰუმორიც, რაც გინდა უხეში და ტლანქი იყოს.

ქ. ციმაკურიძე საჭირო და მუყაითი მუშაკია სახალხო სახლისა; მაგრამ მის თამაშს ყოველთვის ერთფეროვნება ეტყობა, ერთი და იგივე მიმიკა, ერთი და იგივე მიხვრა-მოხვრა, ერთი და იგივე კილო. ეს, ალბად, იმით აიხსნება, რომ მსახიობი ქალი ადვილად ვერ იღებს როლის ალღოს. ერთი პატარა შენიშვნა სცენის მოყვარე: ქმართან ერთი უშველებელი გაწამაწია აქვს, უსიამოვნება, ქალი გაანჩხლებულია და მის ბაგეს კი ნეტარი ღიმილი არა ჰშორდება. პიესის შიგადაშიგ ვულგარული ადგილებია, რომლის გამოშვება ყოველ შემთხვევაში, შესუსტებაც შეუძლიანთ. არ ვიცი რეჟისორმა თუ თვით მსახიობებმა სწორედ ამ ადგილებს მიაქციეს განსაკუთრებული ყურადღება და ესთეტიკის შემბღალავ სიტყვებს მკაფიოდ და გარკვევით ხაზი გაუსვეს.

იმედია სახალხო სახლში უფრო ხელოვნურსა და ტეხნიკურის მხრივ გაშალაშინებულ პიესებს მოვისმენთ, ვიდრე „ბობოლაა".

შემდეგ წარმოადგინეს ცაგარლის „მათიკო"-ს მესამე მოქმედება. ბ. რატიშვილი შნოიანად ასრულებდა თომას როლსა. ჩვეულებისამებრ კარგები იყვნენ ქიაურელი და გოცირიძე.

მმართველ წრის გამგეობამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს წარმოდგენის დროზე დაწყებასა და გათავებას, მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ სახალხო სახლის მუდმივი მოსიარულე მუშა ხალხია, რომელსაც შესაფერი დასვენება ეჭირვება და დილით ადრე ადგომა უნდება.

სიკო.

„სინათლე" ქუთაისის სცენაზე. იშვიათია ქართულ სცენაზე ისეთი შემთხვევა, როცა ერთ და იმავე პიესას ერთი სეზონის განმავლობაში ორ-სამჯელ გამეორებულს ქართველი საზოგადოება ბლომად დაესწროს. ეს არც გასაკვირველია, ვინაიდან ხშირად იმეორებენ ისეთ პიესას, რომელსაც ქართველი კაცის სულთან ძნელად თუ რამე აქვს საერთო. ამ მხრით სწორედ არა ჩვეულებრივია ქართულ თეატრის ისტორიაში ის მოვლენა, რომ პიესა „სინათლე" ერთი სეზონის განმავლობაში აგერ უკვე მეთოთხმეტედ დაიდგა.

„სამშობლო", „ღალატი" და „სინათლე" აი ის სამი დრამატიული ნაწარმოები, რომელთა დადგმამაც თავიდანვე დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ქართველი ხალხისა, ვინაიდან ის მათში თავის სულიერი ლტოლვის გამოხატულებას ჰხედავდა. „სინათლე" სწორედ ამ მხრივ არის დაუფასებელი ქართული სცენისათვის. ავტორს ღრმად ჩაუხედნია ქართველი ერის გულში, დაუნახავს მისი აწინდელი მდგომარეობის მთავარი მიზეზი და მისთვის შესაფერი მალამოც მოუნახია. მიუცია ხელში გმირ ავთანდილისათვის ოქროს შანდალი, სიმბოლო სინათლისა, რომლითაც სამშობლო ქვეყანაში სინათლე უნდა შეიტანოს და მით იხსნას იგი ქვეყანა „გველეშაპთა" განსაცდელისაგან. დიახ იგი ზღაპარია, ზღაპარი აღმოსავლეთური, რომლის შინაარსშიც ავტორს სამშობლო ერის სულიერი მისწრაფების წყურვილი გამოუსახავს, წყურვილი იმ მისწრაფებისა, რომელიც უნდა იყოს ყოველთვის მთავარი ღერძი მისი მომავალი ცხოვრებისა.

იშვიათია ქართული სცენისათვის „სინათლე" გარეგნული მხრითაც, რადგანაც იგი პირველი ისეთი პიესაა, რომელშიც მუსიკა და ბალეტი ხელოვნურად არის ჩართული, რაიც უსაშუალოდ შთაბეჭდილების გამაცხოველებელი და გამაძლიერებელია. ამიტომაც დიდი მადლობის ღირსია ბ-ნი შალიკაშვილი, რომელმაც პიესა „სინათლეს" ხორცი შეასხა და იგი ისე მხატვრული სცენებით აღსავსე აჩვენა ქართველ საზოგადოებას. გასაკვირველიც არ არის, რომ ეს პიესა ერთი თვის განმავლობაში უკვე ათჯერ დაიდგა ტფილისში, რომელსაც ყოველთვის აუარებელი საზოგადოება ესწრობა ხოლმე. ასეთივე ბედი ხვდა ამ პიესას ქუთაისშიც კვირას, ორშაბათს, სამშაბათს, და ოთხშაბათს, ოთხჯერ ზედიზედ დაიდგა ეს პიესა ქუთაისის სცენაზე. თეატრის კასის წინ ხალხი ყოველთვის ბუზივით ირეოდა ბილეთის მოლოდინში. მიუხედავად აწეული ფასებისა ყოველ წარმოდგენას ხალხი აუარებელი ესწრებოდა და შინ ყოველთვის დიდად ნასიამოვნები ბრუნდებოდა. ყოველი წარმოდგენა დაუსრულებელი ოვაცია იყო გედევანიშვილისა და შალიკაშვილისა. ამ ორმა პირმა ქუთაისის საზოგადოებას აჩვენა ის მხატვრულად დადგმული პიესა, რომლისაგან მიღებულს შთაბეჭდილება არაოდეს არ აღმოიფხვრება ქართველი ადამიანის გონებიდან. ბევრი სიამოვნების წუთები აგრძნობია ამ წარმოდგენამ ქუთაისის საზოგადოებას, რისთვისაც იგი ყოველთვის მადლობით მოიხსენებს პიესის ავტორს. დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ავტორს ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობაც, რომელიც ყოველი ფარდის დაშვების დროს გამოურკვეველ მდგომარეობაში იყო ძლიერი შთაბეჭდილების გამო და შემდეგ კი გამოურკვევლობიდან გამოსული დიდი ტაშის ცემით ეგებებოდა ავტორსა და მსახიობთ. ერთი სიტყვით, ქუთაისის საზოგადოება დიდი კმაყოფილი დარჩა როგორც პიესით, ისე მისი მხატვრული დადგმით. ამიტომაც იყო, რომ მოსწავლე ახალგაზრდობამ ხელში აყვანილი მიაცილა ი. გედევანიშვილი სასტუმრომდი უკანასკნელი წარმოდგენის შემდეგ.

ნიკ. აბესაძე.

ქართული თეატრი. ვალ. გუნიას საბენეფისოდ უნდა წასულიყო შილერის ტრაგედია „დონ-კარლოსი", რომელსაც კარგად ხანია ამზადებდა დასი, მაგრამ ზარდალიშვილის ავადმყოფობის გამო (გაკეთებული აქვს ოპერაცია) პიესა დიდ-მარხვამდე ვერ დაიდგმის. ამიტომ ვ. გუნიას საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება ალექსან. სუმბათაშვილის ცნობილი დრამა-ლეგენდა „ღალატი", რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს მთელი დასი, ხოლო თვითონ ვ. გუნია გამოვა თავის საუკეთესო როლში, ოთარ-ბეგში.

ქ. ბათომი. 6 თებერვალს რკინის გზის თეატრში ელ. ანდრონიკაშვილის საბენეფისოდ წარმოადგინეს ჰაუპტმანის „ჰანნელე", თარგმანი შალვა დადიანისა. წარმოდგენის წინად ბ. დადიანმა მოკლედ განუმარტა მაყურებელთ პიესის შინაარსი, რითაც უფრო გასაგები ჰყო იგი ხალხისათვის. ეს წესი ბ. შალვას შარშან, როცა იგი თავის თავს „იყუდნოდა" და „მოგზაურის" დასს მეთაურობდა—აუცილებლად მიაჩნდა—თითქმის ყოველ წარმოდგენას წინ წაუძღოლებდა ხოლმე განმარტებას. მობენეფისემ „ჰანნელე" საუცხოვოდ განასახიერა, მაყურებელზე ღრმა და წაუშლელს კვალსა სტოვებს საწყალი ჰანნელეს მდგომარეობა—ერთი მხრით ლოთი მამის (ყალიბეგიშვილი) მუდამ დევნა და მეორე მხრით ღრმა ქრისტიანული რწმენა მისი... მშვენიერი იყო ცოცხალი სურათები—ანგელოზები, ღარიბ-ღატაკნი თავშესაფარში ყველა თავ-თავის ადგილზე იყვნენ, გელოვანის (გამგე) გარდა, რომელიც არღვევდა ანსამბლს.

მობენეფისემ მრავალი საჩუქარი მიიღო. სამწუხაროდ კი, ხალხი შედარებით ნაკლებ დაესწრო. „ჰანნელეს" შემდეგ იმავ ღამეს წარმოადგინეს „დრამატიული საზ. წევრი" ივ. გომართელისა, რამაც საზოგადოება ბევრი აცინა.

მესხეთელი.

წერილი რედ. მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ ნება დაგვრთოთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა ვუძღვნათ ექიმს ბ-ნ ირაკლი სურგულაძეს, რომელმაც ჩვენდამი რწმუნებულს ს. მარადიდის სკოლას გამოუწერა ამ წლის ჟურნალი „ნაკადული".

გამგე სკოლისა ლ. კვიტაშვილი.
მასწავლებელი გ. ნაკაშიძე.

დღეს

ქართული თეატრი. „ახალი კლუბის" საოჯახო საღამო.

სახაზინო თეატრი. ოპერა „ევგენი ონეგინი".

არტ. საზ. დარბაზი. მესამე ისტორიული კონცერტი გალსტონისა: „შოპენი".

რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 პ. ფომინა-ახიპოვისა ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში ქრ. ლ. ქალანთაროვი (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6ი. მ. ზაბლუდოვსკი (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 ნ. დ. ხატისოვი (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 გ. თ. ნათიშვილი (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 ე. ა. მირაქოვი (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები და გვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ. ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ს. ა. გრიაზნოვი
სხვა მასწავლებლებთან ერთად
ამზადებს
გიმნაზიის, რეალურ და კომერციულ სასწავლებლის დაბალ, საშუალო და მაღალ კლასებისათვის, სამხედრო და მიწის-მზომლის სასწ. პირველ კლასისთვის და სხვა და სხვა მოწმობებზე. უკვე შემდგარია ჯგუფი გიმნაზიის მე-6 და მე-7 კლასისთვის და კომერც. მე-6 კლას. მარიამობისთვის. ეგზამენისათვის. იყვანს სრულ პანსიონზედაც. ვერა, იზმაილოვის შესახვ., ბელინსკ. ქუჩიდან № 3, მესამე სართული. 43

მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სამ.** დილ. 8 ს. 2 წ № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

ჯულფისაკენ: **საფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს. წ.

ყარსისკენ: **სამ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** ღამ., 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

ჯულფიდან № 4|3 საფოსტო 7 საათსა და წუთსა საღამოთი.

ერევნიდან № 26|25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებული არიან იმ დღესვე ინახულონ ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

საჩქაროდ იყიდება
მეწვრიმლის დუქანი
შაქრო ოგანეზოვისა.
ვეძინის ქუჩაზე, სახლი ცხოვრებაშვილისა № 10. მორიგება შეიძლება თვითონ მედუქნესთან ყოველ-დღე. 91.

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა
გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოლოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606" და „914"
11—12 ს. შეხაპუნება
კონსულტატიურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგახაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. [illegible], ქალებისა და ბავშვებისა.
გ. გ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, აბავშვთა და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. გ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. [illegible] და ქალების ავადმყ.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1004 დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 19 თებერვალს, ნაშუადღევს 1 საათზე, გამგეობის დარბაზში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა,

რომელ ზედაც იჯარით გაიცემა წყალსადენისათვის რკინის სახურავიან ბეტონის აუზის აშენება, რომელმაც 300,000 ვედრო წყალი უნდა დაიტიოს.

საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის უსათუოდ საჭიროა ბედ წარმოადგინონ 2500 მანეთი, გამგეობა უფლებას იტოვებს რომ საჯარო ვაჭრობა არ დაამტკიცოს.

აუზის გეგმა და ხარჯის ვარაუდი მსურველთ შეიძლება გადაათვალიერონ წყალსადენის კანცელარიაში ნაშუადღევს 2—3 საათამდე. 1056

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

იწვევს მსურველთ,

ვინც იკისრებს:

1) **ქალაქის ახალ სასაკლაოს საქონლისათვის საკვების მიწოდებას (თივა, ბზე, სიმინდი და სხვა).**

2) **ვინც სასაკლაოს სამყინვარიდან გასასყიდად წაიღებს ვნებადაკარგულ ხორცს, რომელიც ადგილობრივ დაეთმობათ გირვანქა ერთ შაურად.**

დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება ძველი სასაკლაოს კანტორაში. მსურველთაც განცხადებანი უნდა წარადგინონ იქ, ან თვითონ ქალაქის გამგეობაში. 1957

უფლებიანი სავაჭრო სკოლა უფლებიანი და
საბუღალტრო კურსები
ივანე ზაქარიას ძე ტერ-სტეფანოვისა
გადავიდა ახალსა და უფრო ფართო შესაფერ ბინაზე,
მიხეილის ქუჩა, სახლი ჭავჭანიძისა № 36.
კურსებზე პირველ ჯგუფთან მეცადინეობა სწარმოებს ნაშუადღევის 3 საათიდან, მეორე ჯგუფთან—საღამოს 7 საათიდან. გამოცემული სახელმძღვანელოები მიწერ-მოწერით ბუღალტერიის შესასწავლად. 83

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძევველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

მანუფ. ლება
ავლაბარში
ფოსტის განყოფილების ქვეშ,
საკუთარ სახლში.
იყიდება
იმავე ხარისხის
საქონელი,
როგორც პუშკინის ქუჩაზე.

ტფილისი, სტამბა „შრომა" მუხრანის ქუჩა.